# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 51. კვირა, 28 ივლისი 1902 წ. გაზეთის № 1880.


# შეხვედრა

მოთხრობა მ. სენ-ვიდალისა.

თებერვლის მიწურულია. ღამდება. ცაზე აქა-იქ პატარა ღრუბლები დასცურავენ. ამ ღრუბლებს შუა ზოლად მოსჩანს ლურჯი ცა.

პატარა ბაღი, რომელიც კლუნის მუზეის არტყია, დიდი ხანია დაცარიელდა. აივნებში აღარ ისმის ბავშვთა პატარა ტრმების ჴრაჭუნი; გამვლელ-გამომვლელნი ნაკლებად მოსჩანან. დრო-გამოშვებით რომელიმე ბუნების მოყვარე, ან რითმების მძებნელი პოეტი თუ გამოჩნდება, რომელიც გარემო ბუნებაში „წყეულ კითხვების“ პასუხს დაეძებს. კლუნის ნანგრევები სწორედ შესაფერი ადგილია: იმის დანახვაზედ კაცს თავი არა-ჩვეულებრივის აზრებით ევსება, წარსულის წყვდიადი ნება-უნებურად იზიდავს იმას და განვლილ დროთა საიდუმლოების გასაგებად აქეზებს.

აქა-იქ ხეებზე გაფანტული ეშმაკი ბეღურები, რომელთაც ყოველი ბუჩქი და ხე საკუთარ სახლად მიაჩნიათ, ნაზად იწვევენ ამხანაგებს დასაძინებლად.

ცოტა მოშორებით სკამი იდგა. სკამის ერთს თავში ქალი იჯდა, ხოლო მეორეში კაცი. ორივენი ისე ისხდნენ, თითქოს გაქვავებულნი არიანო.

ქალი დაბალისა და გამხდარის ტანისა იყო; კოხტა ტანისამოსი ამხელდა, რომ ოდესღაც მორთვა-მოკაზმვა უყვარდა. სახეზედ აშკარად ეტყობოდა დარდისა და ნაღველის ბეჭედი, იმ გვარ დარდისა, რომელიც უდრო-უდროოდ აბერებს და აჭაღარავებს ადამიანს. გაშლილ შუბლს ოქროს-ფერ თმის კულულები ჩამოჰფარებოდა, რომლის ქვემოდაც არც-კი მოსჩანდა გაშეშებული, უსიცოცხლო თვალები.

ქალმა მოულოდნელად სუსტი თეთრი ხელები ზევით აიშვირა, ერთმანეთს გადაჰხვია წვრილი თითები, რომელთაც არ უწყოდნენ არც წიგნი და არც საქმე, და მწარედ წაიბუტბუტა:

— მომწყინდა, ოჰ, რა რიგად მომწყინდა!.. რა დაუსრულებლად გაგძელდა საათი...

ამ სიტყვებზედ ქალის მეზობელმა, ახალგაზდა, ძალ-ღონით სავსე ყმაწვილმა კაცმა, მაღლა აიღო თავი და შეაჩერა თითები, რომლებსაც ამობერილ ასოებიან წიგნს აცოცებდა; შემდეგ ჰკითხა:

— განა არ შეგიძლიანთ, რითიმე გაერთოთ?—ახალგაზდა ქალმა, ამ გვარს კითხვით გაკვირვებულმა და საყვედურის კილოთი ნაწყენმა, მწარედ მიუგო:

— ნუ თუ ვერა ჰხედავთ, რომ უსინათლო ვარ?

— ვერა, ვერა ვხედავ... რადგანაც... მეც..

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ორივენი ურთ-ერთის თანაგრძნობით აღივსნენ

ბოლოს ქალმა სთქვა სულ სხვა კილოთი:

— მაპატიეთ!.. მე ვერ წარმოვიდგენდი...

ეს ალერსიანი „მაპატიეთ“ ციურ ხმად ეჩვენა ქალის მეზობელს, რომლის ყურიც მოუხეშავ სიტყვა-პასუხს უფრო იყო მიჩვეული.

თავისდა უნებურად ქალ-ვაჟმა ერთმანეთისაკენ მიიწიეს იმ სკამზე, რომელიც მათის შეხვედრისა და გაცნობის მიზეზი შეიქმნა.

ვაჟმა მოკრძალებით დაიწყო:

—- დიდი ხანია, რაც ველარა ჰხედავთ?..

— სამი წელიწადია... თქვენა?

— ოც წელიწადზე მეტია. ხუთის წლისა არც კი ვიქნებოდი, როდესაც დავბრმავდი.

— ოცი წელიწადი! როგორ შესძელით ეგრე ცხოვრება?

— როგორ? ღმერთმანი, არ ვიცი,.. ასე თუ ისე, ხომ უნდა მეცხოვრა!.. მაგრამ მძიმემა და აუტანელმა დრომ განვლო. ეხლა ვმუშაობ და ბედნიერი ვარ.

— მუშაობთ? მიამბეთ, როგორა მუშაობთ?...

— ვკითხულობ, ვწერ, ბევრ რამესა ვსწავლობ. ცოტად ორღანზედაც ვუკრავ...

ყმაწვილი კაცი ამაყად შეუდგა თავის ცოდნათა ჩამოთვ-



სამხარი წისქვილთან.

ლას, ხოლო ქალი ყურს უგდებდა და წყნარად იმეორებდა:

— დიაღ, თქვენ ბედნიერი ხართ... მე კი არაფერი აღარ შემიძლიან... ისედაც სუსტი თვალები დამიბრმავდა თეატრში, სცენის სინათლისაგან... ხმაც წამიხდა... ყველაფერი გათავდა, ყოველივე დავკარგე... სიკვდილი სჯობია ასეთ სიცოცხლეს!...

კლოდი მიზანტროპი არ იყო, მაგრამ იმის ფილოსოფიას იმდენი არ შეეძლო, რომ დაეცვა მორჩილებისა და სტოიციზმის საჭიროება უბედურების დროს. ესეც არ იყოს, ქალის ხმა აშფოთებდა და საპასუხოდ აყოყმანებდა. მაგრამ გულის თქმამ სძლია ბოლოს და კლოდმა მიუგო ქალს:

— აბა რა სათქმელია ეგა! რად ლაპარაკობთ მაგრე... ცხოვრებაში მარტო ცუდი ხომ არ არის? საჭიროა მხოლოდ საქმე გაიჩინოთ, ისეთი საქმე, რომ გაინტერესებდეთ. თქვენ, უთუოდ, მარტო არა ხართ?

— ჩვენსა ყველას საქმე აქვს და ჩემს გასართობად არავისა სცალიან.

კლოდი ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ გამბედაობით აღიჭურვა:

— ხშირად დადიხართ ამ ბაღში? — ჰკითხა იმან. — მე აქვე ვცხოვრობ, ასე რომ სხვის დაუხმარებლად შემიძლიან ამ ადგილამდის მოსვლა; ეხლა კარგად ვიცი ეს ადგილი!.. ჩვენ შეგვეძლო ერთმანეთს შევხვედროდით: ცოტა რამეს წაგიკითხავდით და გაერთობოდით.

— ნუ თუ თქვენ მაგას იზამთ... ჩემთვის?... მაშ მე ხშირად მოვალ, ხშირად... ეხლა კი მშვიდობით. ჩემ წასაყვანად მოდიან. მესმის დის ფეხის ხმა.

ქალი ფეხზე წამოდგა. უსინათლოებმა მთრთოლვარე ხელები ერთმანეთს გაუწოდეს და ქალი განშორდა.

„ამაზე ადრე ვერ გავნთავისუფლდი, ჩემო პოლ, — მოესმა შორიდან კლოდს, — ძალიან ხომ არ მოგწყინდა?“

— არა, არ მომწყინდა, ჰაერზე კარგია, — მიუგო ქალმა და თავისდა სასიხარულოდ იგრძნო, რომ გულზე რაღაც შვება მოეფინა.

კლოდი კი გამოუთქმელ მღელვარებას ეძლეოდა, ჩუმად იმეორებდა: „პოლ“ და თრთოლვარე ხელებს მაგრა უჭერდა, თითქოს უნდოდა, ქალის შეხება დიდ ხანს შეენარჩუნებინა.

*
* *

ისინი ხშირად ჰხვდებოდნენ ერთმანეთს პირველ გაზაფხულის მხიარულ და მშვენიერ დღეებში. თავიანთი ისტორიაც კი გააცნეს ერთმანეთს.

ქალმა ეხლა დაწვრილებით იცის ახალ მეგობრის თავგადასავალი, სულ უმნიშვნელო ამბებიც კი იმის ცხოვრებიდან. იმას ჰგონია, ესმის როგორა ღრიალებდა კლოდი ბავშვობისას, როდესაც თვალებზე მოსარჩენად რაღაც წამალს ადებდნენ. იცის ისიც, რომ როდესაც კლოდი დაობლდა, მიიკედლა და იშვილა იგი ღარიბმა მეზობელმა ქალმა, რომელიც დღიურ მუშაობით სცხოვრობდა. გული აუტოკა კლოდმა იმ მანდილოსნის ამბით, რომელმაც უპატრონა და სწავლა მიაღებინა. ამ სხვა-და-სხვა საფეხურზედ მდგომმა ორმა დედაკაცმა შეაჩვია კლოდი ბედის დამორჩილებას; ეს არის მიზეზი, რომ იგი სასოწარკვეთილებას არ ეძლევა.

კლოდმა არაფერი არ დაუმალა თავისს წარსულიდან და უნდოდა, პოლსაც ასევე გულ ახდილად აეწერა თავისი წარსული ცხოვრება; მაგრამ იმის ნაამბობში ყოველთვის რაღაც იმალებოდა და ეს „რაღაცა“ აშფოთებდა და აწუხებდა კლოდს. ისიც კი არ შეეძლო გაეგო, რა ხნისაა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ახალგაზდაა, ლამაზი, — ამას ჩასჩურჩულებდა წინადვე აკვიატებული აზრი, ხოლო საიდუმლო „რაღაც“ უფრო იზიდავდა, ვითარცა მაგნიტი, და აორკეცებდა იმის ცნობისმოყვარეობას.

ყველა იმან, რაც კი ქალმა მოისურვა და გაუზიარა, უფრო აღაფრთოვანა კლოდის ოცნება. იმის თვალში მომღერალი ქალი, რომელიც ერთ დროს მოდაში იყო და რომელსაც მცირე ტაშის-ცემით აჯილდოვებდნენ, შარავანდედით მოსილ და ბრბოს მომჯადოებელ ნიჭად გადაიქცა. კლოდის უკვირდა და გულში ჰფიქრობდა, ეს შესანიშნავი არტისტი-ქალი როგორ კადრულობს ჩემთან საუბარსაო, საუბარს, რომელსაც იგი გულის ძგერითა და მოუთმენლად მოელის ხოლმე. კლოდის თვალში იგი რაღაც თვალთმაქცად გადაიქცა, რომლის ერთი ხმა ბედნიერებად, მთელ სამოთხედ ეჩვენებოდა. წიგნი აღარაფერს ეუბნებოდა კლოდს; მაშინაც კი, როდესაც თითებს აცოცებდა წიგნზე, გონება სხვასა ჰფიქრობდა და სხვა საქმეში იყო გართული. სამაგიეროდ უფრო მეტყველი, უფრო ტკბილი შეიქმნა ორლანოს ხმა, რომლის შემწეობითაც კლოდი მაღლა ამბობდა ხოლმე თავის გულის ნადებს და საიდუმლოებას.



ხევსურთა იერიში ხმლით.

კლოდი არ იყო უქმი მოლაპარაკე, არ იცოდა იაფ-ფასიან, მაგრამ მალალის სიტყვებით მოსაუბრის მოხიბლვა; არ შეეძლო თავის გრძნობათა გამოთქმა; ქალის სიახლოვეც საკმაო იყო იმისათვის. მაგრამ ის, ის... რას ფიქრობს სიჩუმის დროს, რომელიც ხანდისხან მათ შორის ჩამოვარდება ხოლმე? მასალა ბაასისა გამოილია, კითხვაც, მგონი, აღარ იზიდავს, აღარ აინტერესებს... და ერთ სიცხიან დღეს, საღამო ხანზე, კლოდმა ხელ-ახლა გაიგონა: „მომწყინდა, ოჰ, რა რიგად მომწყინდა!“ კლოდი გაფითრდა, მაგრამ ვერც ერთი ვერა ჰხედავდა ამას...

— ის, რაც მე წაგიკითხეთ, არ მოგწონთ განა?

— არა.

— მეკი იმედი მქონდა... ეს ეტიუდი საფრანგეთის ისტორიიდან დიდად საგულისხმოა...

— მერე მე რა?.. მეტად მოსაწყენია. სხვა ხომ არაფერი გაქვთ?

— რასაკვირველია, მაქვს. საბერძნეთის ისტორია, ლაფონტენის იგავ-არაკები, სახარება მათესი; მომდის აგრეთვე ჟურნალი.

ქალმა უკმაყოფილების ნიშნად მხრები აიწია. იმისმა სიჩუმემ საწყალ კლოდის გულში მთელი ჯოჯოხეთი გააჩინა.

— რომ ვიცოდე, რა გვარი წიგნები გიყვართ... მოვძებნიდი წიგნთ-საცავში.

— იცით!.. — ქალმა ახლო მიიწია და ხმა დაიმდაბლა, თითქოს რაღაც საიდუმლოს გამჟღავნებას აპირებსო: — იცით, მე

მინდა მოვისმინო ისეთი ისტორია.. სადაც მხოლოდ სიყვარულზე იყოს ლაპარაკი.

რადგანაც კლოდმა მაშინვე არ გასცა პასუხი, ქალმა განაგრძო:

— თქვენ არ გაგიგონიათ?... მითხარით, თანახმა არა ხართ?

— მაპატიეთ... გავიგებ, მოვიკითხავ მაგ ნაირ წიგნებს...

მაგრამ კლოდმა კარგა იცის, რომ ვერ გაჰბედავს და ვერ მოიკითხავს ამგვარ წიგნს; შეიძლება, არცკი იყოს ასეთი წიგნი, იმის წასაკითხავად გამოსადეგი. ასე თუ ისე, დაჰპირდა და ეცდება კიდეც გამოსძებნოს საშუალება, რომ ქალის წინაშე პირ-ნათლად გამოვიდეს.

გადაუშლი მთელ ჩემს გულს, გადავცემ ყველაფერს, რითიც სავსეა იგიო, ოცნებობდა კლოდი. ეგონება, წიგნში ვკითხულობ. ეს პატარა სიცრუვე გამბედაობას მომიმატებს. ვეცდები უამბო ამაცრემლებელი ისტორია სიყვარულისა: ჩემი გმირი ამაყი და მშვენიერი იქნება, იმისი სატრფო — ოცნების საგანგებო ქმნილება... დავაახლოვებ ერთმანეთს, ცხარე, წარმტაც სიტყვებს წარმოვსთქვამ... აი, ეხლაც-კი ენაზე მიტრიალებს საალერსო, სიყვარულით აღსავსე სიტყვები... იქნება მაშინ მაინც აღარ მოსწყინდეს...

და კლოდს ჰგონია, რომ შეუძლიან ისეთ მრავლისაგან-მრავალის ისტორიის დაწერა, სადაც ლაპარაკი მხოლოდ სიყვარულზე იყოს...

ოლბეჟ.

## ორი ლექსი*)

1

არა, არ გთხოვ სიყვარულსა,
ვით სათხოვარ მოწყალებას!...
დე, ვიტანჯო, ნუ გიყვარდე,
გულს ჩავიკლავ ტრფიალებას!
არ შევჩივლებ ძე ხორციელს
ჩემ ცეცხლსა და გამწარებას;
შავი მიწა დამავიწყებს
გულის ტანჯვა-მწუხარებას.

2

დღეს მივიღე ჭკუს წერილი
მის არასგან დადაგულმა.
მკვდარი ვიყავ, გამაცოცხლა
ყოვლად შემძლე სიყვარულმა;
სევდა ცრემლად ამოვღვარე
სასიკვდილოდ განწირულმა;
და გავსწიე საყვარლისკენ
ცხრა-მთას იქით დაკარგულმა.

*) ეს ორი ლექსი ოლგა დედაბრიშვილის ნაწერებში უპოვია მის ძმას.

# ნარევი

**რომანიული ამბავი.** ამერიკული გაზეთები იუწყებიან, როგორ გაიქცნენ პიტსბურგის საპყრობილიდან ორი ტუსაღი, გვარად ბედლები, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი კაცის მკვლელობისათვის. ეს ორივე ტუსაღი-ძმები საპყრობილიდან გაიქცნენ საპყრობილის დირექტორის ცოლის ქ-ნ ზოფელის



ტფილისის ტიპები.—თოქმაჩი

დახმარებით, რომელიც თან გაჰყვა ტუსაღებს. გაქცეულებს მდევარი დაედევნა და კოოპერსტოუნში წამოეწია. გაქცეულები მარხილით გარბოდნენ, და ქ-ნ ზოფელს კბილს კბილზე აცემინებდა სიცივის გამო, თითქმის გაიყინა, ქალმა ეს მგზავრობა ვერ აიტანა და მალე გარდაიცვალა. ერთი ტუსაღთაგანი ჯონ ბედლი მოჰკლეს, ხოლო მეორე — ედვარდი სასიკვდილოდ დასჭრეს. იმათი მდევარი პოლიციის უფროსიც მძიმედ დაიჭრა.

რაღაც არა ჩვეულებრივი ხალხი იყო ეს ორი ძმა. ედვარდ ბედლს საშინელი გავლენა ჰქონდა ქალებზე, რომლებიც ყურ-მოჭრილი ყმასავით ემორჩილებოდნენ იმას და ყოველ სწადილს უსრულებდნენ. ათას გვარი ავაზაკობის გამო, ედვარდ ბედლი დაიჭირეს და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, ისევე, როგორც იმის ძმას ჯონსაც. ამ გადაწყვეტილების შემდეგ პენსილვანიის გუბერნატორ სტონთან ერთი ვიღაც ქალი მივიდა საიდუმლოდ და სასჯელის აღსრულება ექვსის კვირით გადაადებინა. ამ ხნის განმავლობაში ტუსაღები გასაქცევად მოემზადნენ. ედვარდმა თავი მოიავადმყოფა და საპყრობილის დარაჯი დაიბარა თავისთან. როგორც კი ფეხი შედგა დარაჯმა კამერაში, მისცვივდნენ ორივე ძმები და იქვე წააზრჩეს, ამასთანავე ხელთ იგდეს გასაღებები. ხმაურობაზე ორმა დარაჯმა მოირბინა, მაგრამ ისინიც უკან გამოუყენეს პირველს, ისინიც დახოცეს, შემდეგ ტუსაღები კამერიდან გამოვიდნენ; მათ წინ მიუძღოდათ დირექტორის ცოლი, რომელმაც საპყრობილის ტანისამოსის ოთახში შეიყვანა; აქ ტუსაღებმა უცბად გადაიცვეს დარაჯების ტანისამოსი და მიჰყვნენ უკან თავიანთ განმათავისუფლებელს, რომელმაც დირექტორის სადგომზე გაატარა ისინი ისე, რომ არავის არაფერი არ გაუგია.

როდესაც ედუარდ ბედლი საპყრობილეში იყო, ძმის სანახავად მთელი პიტსბურგის წარჩინებული ოჯახების ქალები დადიოდნენ. ასეთი გამოურკვეველი გავლენა ჰქონდა ქალებზე ამ საშინელ კაცის მკვლელს თითონ იმის ადვოკატიც კი გამოტყდა და სთქვა, რომ რაღაც უცნაურის და აუხსნელის ძალით მოქმედებდა ის ხემზედ, ისეთი გავლენა ჰქონდა ხემზე, რომ უნებლიედ მონასავით ვემორჩილებოდით.



«კრუჟოკში» მოვახშმეთათვის კარებთან ყოველთვის მზად არის სანიტარული რაზმი ეტლებით და საკაცებით, ისე რომ მოვახშმეთ უშიშრად შეუძლიანთ გახშმობა. ამისთანავე რაზმები მზადდება ტფილისის სხვა ბაღებისა და რესტორანებისათვისაც.

**არტისტიული საზოგადოების ბუფეტში.**



ბატონი. შემწვარი გოჭი, ცხელი თეფშით უნდა მოართვან.

მოსამსახური. კი ბატონო! განა ყველას გაეგება? ის რა ბატონია თუ ცხელს ცხელი თეფშით არ მოითხოვს და ცივს-ცივით!



ახალი საგრილებელი ეტლი სიცხისა და მტვრისაგან შეწუხებული ტფილისელებისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

Доз. ценз. Тифлисъ, 26 Іюля 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა).